პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

4 აპრილი, ხუთშაბათი 1985 წ.
№ 64 (8875) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მიმდინარეობს ერთთვიური

ჩვენს რესპუბლიკაში სულ უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენს საყოველთაო-სახალხო მისწრაფება ფიზკულტურასა და სპორტთან დამეგობრებისაკენ. ეს დიდი სახელმწიფოებრივი და ეროვნული მნიშვნელობის ამოცანაა, რომლის წარმატებით გადაწყვეტა დიდადაა დამოკიდებული, პირველ ყოვლისა, იმაზე, თუ რა მდგომარეობაშია სპორტული ბაზები და ნაგებობები, არის თუ არა იქ ისეთი პირობები ფიზკულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ჯგუფებში მეცადინეობისთვის, როგორც ამას დღევანდელობა მოითხოვს.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს პროფსაბჭომ და რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება „1985 წლის საზაფხულო სპორტული სეზონისთვის სპორტული ბაზებისა და ნაგებობების მომზადების ერთთვიურის ჩატარების შესახებ“.

ერთთვიური, როგორც დადგენილებაშია ნათქვამი, ტარდება 1 აპრილიდან 1 მაისამდე. ძირითადი ამოცანაა მატერიალურ-სპორტული ბაზის გაფართოება-განმტკიცება, ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში მოსახლეობის უფრო ფართო ფენების, განსაკუთრებით მოზარდების ჩაბმისათვის ახალი, მარტივი სპორტული მოედნების გაშენება, ყველა სპორტული ბაზისა და ნაგებობის კეთილმოწყობა. ამ საქმეში ყველგან უნდა მოიზიდონ ახალგაზრდობა, მოაწყონ შაბათობები. გათვალისწინებულია აგრეთვე არა მარტო სპორტული, არამედ ტურისტული ბაზებისა და მშრომელთა დასვენების ზონების კეთილმოწყობა. აპრილშივე ჩატარდება მასობრივი შეჯიბრებები ფაბრიკებსა და ქარხნებში, საწარმოებსა და ცალკეულ დაწესებულებებში, სასწავლებლებში, საცხოვრებელ ადგილებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას.

ადგილობრივ პროფკავშირულ, კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს დაევალათ შეიმუშაონ კონკრეტული გეგმა, რაც უზრუნველყოფს ერთთვიურის მაღალ დონეზე ჩატარებას.

„ლელოს“ ფურცლებზე სისტემატურად გაშუქდება ერთთვიურის მიმდინარეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეპატიჟებით გრაციათა ზეიმზე

ხვალ თბილისში, მძლეოსნობის სასახლეში (წერეთლის პროსპექტი 95 ა) დაიწყება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში (ჯგუფური ვარჯიში).

ასპარეზობაში მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის ის ნაკრები გუნდები, რომლებმაც 1983 წლის საკავშირო პირად-გუნდურ შეჯიბრებაში პირველი 12 ადგილი დაიკავეს.



ჯგუფური ვარჯიშების პარალელურად ჩატარდება ტურნირი „ოლიმპიური იმედი“. მასში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის უძლიერესი ტანმოვარჯიშეები. ისინი შეასრულებენ ნებისმიერ ვარჯიშებს (მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამით) სახტუნაოთი, ბურთით, ლენტით და გურზებით. გამარჯვებული გამოვლინდება ოთხივე ვარჯიშის შედეგად მიღებული ქულათა საუკეთესო ჯამის მიხედვით.

ასპარეზობა დაიწყება 5 აპრილს 18 საათზე, 6 და 7 აპრილს — 12 საათზე.

შეჯიბრების მთავარი მსაჯია საკავშირო კატეგორიის არბიტრი ვალენტინა ივანიცკაია (მოსკოვი).

პირველი შეკრება

სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა მოჭადრაკეთა აღზრდა-დაოსტატებას. საკმარისია ითქვას, რომ დიდი სარბიელისკენ აქედან გაიკაფეს გზა სამგზის მსოფლიო ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ, საერთაშორისო დიდოსტატმა გენადი ზაიჩიკმა, საერთაშორისო ოსტატებმა ელიზბარ უბილავამ და ზურაბ აზმაიფარაშვილმა.

ამ ცოტა ხნის წინ „დინამოს“ რესპუბლიკურმა საბჭომ მაია ჩიბურდანიძის სახელობის სკოლის გახსნა გადაწყვიტა. ეს იდეა მოიწონა ცენტრალური საბჭოს ხელმძღვანელობამ, შარშან, წლის ბოლოს, თბილისში ჩატარდა კონკურსი, და ახლად დაარსებულ სკოლაში 25 მსმენელი ჩაირიცხა, რამდენიმე დღის წინ კი მოზარდებს პირველი შეკრება ჰქონდათ ჭადრაკის სასახლეში.

ნორჩ მოჭადრაკეებთან სპორტსაზოგადოების ყველა უძლიერესი მოჭადრაკე მუშაობს. მაგალითად, პირველ შეკრებაზე მათ ორჯერ შეხვდა თვით მაია ჩიბურდანიძე. მან მსმენელებს რამდენიმე პარტია გაურჩია. მოზარდებთან ერთდროული თამაშის სეანსები გამართეს დიდოსტატებმა ეფიმ გელერმა, გენადი ზაიჩიკმა, ზურაბ აზმაიფარაშვილმა. ლონისძიებებს წარმართავდა სკოლის უფროსი მწვრთნელი, ოსტატი ალექსანდრე ზანგიევი (რსფსრ).

ჩიბურდანიძის სკოლას დიდი ამოცანები აქვს: განზრახულია მსმენელთათვის ყოველწლიურად სამი შეკრება გაიმართოს (საერთო ხანგრძლივობით არაუმეტეს 50 დღისა). გაისად ნორჩები მაია ჩიბურდანიძის სახელობის თასს გაითამაშებენ. ამ შეჯიბრებაში სკოლის მსმენელთა გარდა მონაწილეობას მიიღებენ მათი თანატოლები სხვადასხვა რესპუბლიკიდან; ახლა მსმენელებს პერსონალურ დავალებებს აძლევენ მწვრთნელები, შემდეგ შეკრებაზე გათვალისწინებულია დავით ბრონშტეინის, გიორგი აგზამოვის, ვიქტორ კუპრეიჩიკის, არშაკ პეტროსიანის, ედუარდ გუფელდის და სხვების მოწვევა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სკოლა დიდ დახმარებას გაუწევს მსმენელებს: ქეთევან არახამიას, ქეთევან კახიანს, სოფიკო ნიკოლაძეს, ლამა ჯანჯღავას, არტაშეს მინასიანს (სომხეთი), სერგეი ზაგრებელნისა და ნატალია ზინინას (ორივე — უზბეკეთი), ვლადისლავ პონომარენკოს (უკრაინა) და სხვებს.

პირველი გაკვეთილი მსოფლიო ჩემპიონმა ჩაატარა.

ინფორმაცია

ვლადიმერ გოგოლაძეს — „ქარვის მხედარი“

რიგა. ტანმოვარჯიშეთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში „რიგა-85“ წარმატებით იასპარეზა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ვლადიმერ გოგოლაძემ. რამდენიმე დღის წინ გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ პრიზზე გამართულ ტურნირში მან ვერცხლის მედალი დაიმსახურა, ლატვიის დედაქალაქში კი მრავალჭიდში გამარჯვებისთვის ვაჟთა შეჯიბრების მთავარი პრიზი „ქარვის მხედარი“ გადაეცა.

თბილისელმა სტუდენტმა ყველა იარაღზე სტაბილური შედეგი აჩვენა და მრავალჭიდში 57,75 ქულა დაიმსახურა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვლადიმერ გოგოლაძემ მეორე ადგილზე გასულ ჩელიაბინსკელ როდიონ გაბიტოვს (57,30) თითქმის ნახევარი ქულით გაუსწრო, რაც ამ რანგის სპორტსმენთა ასპარეზობისთვის ერთობ საგრძნობი უპირატესობაა. მესამე ადგილი ხვდა ხარკოველ ოლეგ კოპეტოვს — 56,70 ქულა.

სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ვაჟთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის ლეონიდ არკაევის აზრით გოგოლაძემ დამსახურებულად გაიმარჯვა. ახალგაზრდა ოსტატმა მრავალჭიდელისთვის დამახასიათებელი ყველა საუკეთესო თვისება გამოავლინა. მისი თანამედროვე და თამამი კომბინაციები ნებისმიერ შეჯიბრებას დაამშვენებდა.

სპეციალისტები დარწმუნებული არიან, რომ ვლადიმერ გოგოლაძე დაიმკვიდრებს ადგილს ჩვენი ქვეყნის მთავარ გუნდში და იქნება მისი სახელოვანი ტრადიციების ერთ-ერთი ღირსეული გამგრძელებელი.

გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა

ფრუნზეში გათამაშდა მიმდინარე სპორტული სეზონის პირველი ჯილდოები სასტენდო სროლაში, სსრ კავშირის თასისათვის ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო ფაქტიურად ყველა უძლიერესმა მსროლელმა.

მრგვალ სტენდზე გუნდური გამარჯვება შეიარაღებულ ძალთა პირველმა კოლექტივმა მოიპოვა (ვ. ტიმოხინი, ა. ჩერკასოვი, ს. შახვოროსტოვი, ვ. დერევენსკი) — 550 ქულა. „დინამოს“ ნაკრები გამარჯვებულს მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩა.

პირად ჩათვლაში საპატიო ჯილდოსთვის ბრძოლა უმთავრესად ბ. ტიმოფეევს („ტრუდი“), თ. იმნაიშვილსა („დინამო“) და ი. იგნატოვს („ზენიტი“) შორის გაიმართა. ტიმოფეევმა მეტოქეებს მხოლოდ ერთი ქულით აჯობა და 193 ქულა მოაგროვა. მეორე პრიზიორის გამოსავლენად იმნაიშვილსა და იგნატოვს შორის დამატებითი სერია დაინიშნა. თამაზ იმნაიშვილმა ამ სერიაში ყველა 25 სამიზნე დააზიანა, იგნატოვმა კი ერთი თეფში ვერ დაამსხვრია. მეორე ადგილი იმნაიშვილს ხვდა, მესამე — იგნატოვს.

კიროვსკის ტრამპლინის ლაურეატი

მურმანსკის ოლქში — მურმანსკში, მონჩეგორსკში, კიროვსკში, აპატიტსა და სხვა ქალაქებში გრძელდება ე. წ. „ჩრდილოეთის დღესასწაული“ — ტრადიციული შეჯიბრება ზამთრის სპორტის სახეობებში, რომელიც 51-ედ ტარდება.

კიროვსკის საშუალო ტრამპლინზე საუკეთესოდ იასპარეზა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა — 17 წლის წალვერელმა სპორტის ოსტატმა ელგუჯა ორჯონიკიძემ („დინამო“), — რომელმაც ქვეყნის უძლიერეს მფრინავ მოთხილამურეებთან ბრძოლაში უძლიერესის სახელი მოიპოვა.

ორიოდე დღის შემდეგ ელგუჯა ორჯონიკიძე ჩვენი რესპუბლიკის დანარჩენ მხტომელებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს კიდევ ერთ საპასუხისმგებლო ასპარეზობაში — სსრ კავშირის თასის გათამაშებაში.

სურათზე: ელგუჯა ორჯონიკიძე კიროვსკის ტრამპლინზე გამოსვლის წინ. ალექსანდრე ბოროხის („კიროვსკი რაბოჩი“) ფოტო.

ჭაბუკ კლასიკოსთა ორი ტურნირი

გამარჯვების 40 წლის თავს მიეძღვნა ჭაბუკ კლასიკოსთა საკავშირო ტურნირი, რომელიც ამას წინათ ტერნოპოლში გაიმართა. შეჯიბრებაში ექვსი გუნდის 150-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის 11 წარმომადგენელი. ქართველმა ჭაბუკებმა შვიდი მედალი დაისაკუთრეს.

ტურნირის ჩემპიონები გახდნენ კობა ოჩიგავა (75 კგ) და ავთანდილ ანდღულაძე (87). ორივემ დამაჯერებლად მოიგო ყველა შეხვედრა. მეორე ადგილები დაიკავეს ზაალ ბერაიამ (87) და პაატა ბერაძემ (+97), მესამე — მურმან რუბაშვილმა (52), კობა გულიაშვილმა (60) და კარლო ზახაიანმა (97).

გუნდი მოამზადეს დავით დავითაიამ, იოსებ ბერიშვილმა და ჯემალ მეგრელიშვილმა.

უფრო წარმომადგენლობითი იყო ტულაში გამართული მსგავსი ტურნირი. აქ პირველობისთვის იბრძოდა ათი გუნდის 300-ზე მეტი ფალავანი, რომლებიც ორ ასაკობრივ ჯგუფში ასპარეზობდნენ. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას „ლოკომოტივისა“ და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების მოჭიდავეები იცავდნენ.

უმცროსი ასაკის სპორტსმენთა შორის გაიმარჯვეს მიხეილ გაგნიძემ (38), თეიმურაზ სისაურმა (41), გიგლა კოდოევმა (50), ქართლოს კოზაევმა (71), დავით აბრამიშვილმა (76) და მურად იმედაძემ (81), უფროს ასაკობრივ ჯგუფში კი უძლიერესნი იყვნენ გელა პაპაშვილი (42), ნოდარ ხუნძაკიშვილი (52), თამაზ ახობაძე (56), კობა ქვანია (64) და მალხაზ მამუჩიშვილი (80).

მოჭიდავეები ტურნირისთვის მოამზადეს შალვა გაფრინდაშვილმა, ვილიამ ხარაზოვმა, ვაჟა ბაგაევმა და ვაჟა გოგიაშვილმა.



ჯილდო გაერთიანებას „სპორტსაქონელს“

ერთი და იგივე ორგანიზაცია ცხრაჯერ ზედიზედ რომ მოიპოვებს გარდამავალ დროშას, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დაწესებულებაში უკვე გამართული მუშაობის მტკიცე ტრადიციაა შექმნილი. მაგრამ თუ იმასაც ვიტყვით, რომ ეს ორგანიზაცია მთელს რესპუბლიკას სწვდება, თამამად შეიძლება მას ავტორიტეტული და პოპულარული ვუწოდოთ. ასეთი ორგანიზაცია გახლავთ გაერთიანება „სპორტსაქონელი“ ანუ, როგორც მომხმარებლები უწოდებენ: „სპორტვაჭრობა“.

ვაჭრობის მუშაკთათვის მთავარია მოსახლეობის კულტურული მომსახურება და გეგმების შესრულება, მაგრამ როცა „სპორტვაჭრობას“ აჯილდოებენ, იმასაც ითვალისწინებენ, როგორ იყენებს იგი ვაჭრობის ახალ, პროგრესულ ფორმებსა და მეთოდებს, თამამ ექსპერიმენტებს, ზრუნავს თუ არა ვაჭრობის პირობების გასაუმჯობესებლად, რაც განსაზღვრავს მომსახურების კულტურის დონეს.

მეცხრედ გაერთიანება „სპორტსაქონელს“ (დირექტორი მელორ ტყეშელაშვილი) ამ ცოტა ხნის წინ გადაეცა რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს გარდამავალი დროშა. ასე შეფასდა გასული წლის IV კვარტალში გაწეული მუშაობა. გუშინწინ კი კვლავ შეიკრიბნენ ამ სისტემის მუშაკები, რათა საზეიმოდ აღენიშნათ კიდევ ერთი საამაყო გამარჯვება. დიახ, საამაყო, რადგან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი დროშა ყოველკვარტალურად გადაეცემა მხოლოდ საუკეთესო ორგანიზაციას. საგანგებო კომისიამ სწორედ ასეთ გამორჩეულ ორგანიზაციად სცნო გაერთიანება „სპორტსაქონლის“ კოლექტივი და საპატიო ჯილდოც პირველად მას გადასცა.

სურათზე: საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი იოსებ ხაზარაძე (მარცხნივ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალ დროშას გადასცემს გაერთიანება „სპორტსაქონლის“ დირექტორს მელორ ტყეშელაშვილს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

13-14 აპრილი — ხსოვნის დღე

ქართულ ჭიდაობას, ჩვენი ეროვნული სპორტის ბალავერს ენთუზიასტები არასოდეს მოჰკლებია, მაგრამ იყვნენ ისეთი გამორჩეული მოამაგენი, რომელთა დავიწყება შეუძლებელია. მათ შორის უწინარეს ყოვლისა უნდა მოვიხსენიოთ მიხეილ ხერხეულიძე, ძია მიშა, კაცი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ქართულ ჭიდაობას.

ჭაცი წავიდა, სახელი დარჩა

„ადამიანი რომ კვდება, მისი წილი ფიქრიც ქრება, მაგრამ არ კვდება მასზედ ფიქრი“. ჩვენი მეხსიერება სათუთად ინახავს ძია მიშას ნათელ სახეს.

მიხეილ ხერხეულიძემ საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. ტარტუს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული სხვადასხვა დროს ადვოკატად მუშაობდა თბილისში, გორში, ცხინვალში, თელავში, ერთხანს სცენამაც გაიტაცა, ცნობილი რეჟისორის ა. ფრანგიშვილის დასში გამოდიოდა, პიესებს თარგმნიდა და თვითონაც წერდა. სხვათა შორის, სოხუმის თეატრში დაარსებული ქართული დასის პირველი რეჟისორი იმ დროს იქ იურისპრუდენციაში მომუშავე მიხეილ ხერხეულიძე გახლდათ. მაგრამ თეატრი პირველი გატაცება აღმოჩნდა, მისი მოწოდება ქართული ხალხური სპორტი ყოფილა, აქ მთელი სიცოცხლეც მას შესწირა მსხვერპლად.

დიდი სამამულო ომის შემდეგ, როდესაც ქვეყანა ჭრილობების მოშუშებას შეუდგა, საქართველოში სპორტის აღმავლობა დაიწყო. ომგადახდილი სპორტსმენები, ფიზკულტურის მასწავლებლები, სპეციალისტები საერთო ფერხულში ჩაებნენ, გამოცოცხლდა ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრება.

სპორტის ეროვნულ სახეობებში იმართებოდა ხალხური ზეიმები, რაიონული, ზონალური, რესპუბლიკური შეჯიბრებები, კომპლექსური პირველობები. ამ მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო ჩვენი ძია მიშა. იგი ხალისით ეხმარებოდა ხალხური სპორტით დაინტერესებულ მეცნიერ-მუშაკებს შეჯიბრებათა დებულებების, წესების შედგენაში, მეთოდიკის დამუშავებაში, აწყობდა ლელობურთის მატჩებს, იყო ცხენოსანთა ყველა შეჯიბრების მსაჯთა კოლეგიის მდივანი და, რაც მთავარია, წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ქართული ჭიდაობის რესპუბლიკურ ფედერაციას. მიხეილ ხერხეულიძე ქართულ ჭიდაობას ხალხური სპორტის გვირგვინს უწოდებდა.

ეს სპორტზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი ცდილობდა ქართული ჭიდაობის ეროვნული სახე გადაერჩინა. „ვიდრე მე ცოცხალი ვარ, არ დავუშვებ, რომ ქართული ჭიდაობის არსენალში შეაღწიოს სხვადასხვა ჭიდაობის ილეთებმა. ჩვენ ჩვენი გვყოფნის“ — უთქვამს ბევრჯერ.

ყველა დიდი შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში მიხეილ ხერხეულიძის ხელმძღვანელობით ტარდებოდა. ჩაჯდებოდა მთავარი მსაჯის სავარძელში და ყველას გასაგონად გამოაცხადებდა: „ჭიდაობა უნდა იყოს პირდაპირი, ვინც გაიჩაჩხება, ვაჟკაცურ შერკინებას თავს აარიდებს, ის სარბიელს დატოვებს, ქართული ჭიდაობა ოდითგან ვაჟკაცების საქმე იყო. მაშ იჭიდავეთ ვაჟკაცურად, ნუ შეარცხვენთ ჩვენს წინაპართა ნათელ სახელს“.

ასეთი შესავლის შემდეგ დარბაზი იმუხტებოდა, ფალავნები იძაბებოდნენ და სარბიელზე ცხარე ბრძოლის ცეცხლი აპირებდა აბრიალებას. მთავარი მსაჯი კი მშვიდად აცხადებდა:

— ჩვენგან მარჯვნივ — კასპელი ნავროზაშვილი, ჩვენგან მარცხნივ — ახმეტელი ჩიკვილაძე. შენ დაუკარ!.. და გარუნ თბილელის მეზურნეთა დასტაც საჭიდაოს დასცხებდა.

მოუსვენარი, ფუტკარივით მოფუსფუსე ძია მიშა ყველაფერს ასწრებდა. განსაკუთრებით გაზეთ „ლელოს“ რედაქციაში მოსვლა უყვარდა, რედაქციის (გაზეთს მაშინ ირაკლი უგულავა რედაქტორობდა) სასურველი სტუმარი და სანდო კორესპონდენტი იყო. როგორც კი შემოაღებდა რედაქციის კარებს, მაშინვე ატყდებოდა კამათი. რაზე აღარ დაობდნენ: იქნებოდა ეს ტერმინის სისწორე, თუ რომელიმე ისტორიული ფაქტის სიზუსტე. ორმოცდაათიან წლებში კიდევ ერთხელ წამოიჭრა დავა კულა გლდანელისა და ნესტორ ესებუას ორთაბრძოლაზე. რედაქციამ ამის თაობაზე შემაჯამებელი წერილის მომზადება ძია მიშას დაავალა („ლელო“ 1957 წ. 26/III). ავტორმა, როგორც იტყვიან, მოჩხუბარნი გააშველა. ამ საინტერესო წერილისათვის ძია მიშამ იმ წელს საუკეთესო ნარკვევისათვის განკუთვნილი ფულადი პრემიაც კი მიიღო. საერთოდ, მიხეილ ხერხეულიძეს კალამი უჭრიდა და მის ნარკვევებს სპორტის ისტორიის საკითხებზე დიდი ინტერესით კითხულობდნენ.

მას ახლო მეგობრობა აკავშირებდა შალვა დადიანთან, ნიკო კეცხოველთან, ალექსანდრე იმედაშვილთან, იოსებ გრიშაშვილთან, მიხეილ ჭიაურელთან, ვასო გოძიაშვილთან, პავლე ფრანგიშვილთან, გიორგი ეგნატაშვილთან და სხვებთან. ეს სახელოვანი ადამიანები ხშირად ესწრებოდნენ ქართველ მოჭიდავეთა ასპარეზობებს, გვერდში ედგნენ ძია მიშას.

მიხეილ ხერხეულიძე ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, არც ერთი სპორტული წოდება არ მიუღია, მაგრამ ხალხმა მაინც მოუძებნა სახელი: ქართული ჭიდაობის პროფესორს ეძახდნენ. მისმა აღზრდილებმა მიიღეს სპორტის ოსტატის, დამსახურებული ოსტატის, დამსახურებული მწვრთნელის წოდებები, ის კი ისევ ძია მიშად დარჩა, საყვარელ მასწავლებლად, გზის მაჩვენებლად.

და აი, ეს მოუსვენარი კაცი ავად გახდა. როგორ განიცდიდა... ქართულ ჭიდაობაზე მონოგრაფიის დაწერა მქონდა განზრახული. ვაი დედასა, რა დროს მიმუხთლა ბედმაო — წუხდა ერთთავად. ერთხელ ბალიშის ქვემოდან რვეული გამოაძვრინა და მითხრა: ნახე, ძველი ხელნაწერების ქექვისას რას წავაწყდიო და დამარცვლით წაიკითხა: „ხერხეულიძენი არიან სამცხესა შიდა ადგილის ხერხეთის მცხოვრებნი და მათის ხეობისა მოხელენი. თამარ მეფისა დროსა ამათი ნათესავთაგანი იყო მოხელედ კავკასიასა შინა, ხოლო უკანასკნელ დროსა მეფისა დიდისა თეიმურაზისა. ოდეს სპარსნი მოვიდნენ ურიცხვითა მხედრობითა საქართველოსა ზედა და ბრძო მეფემან თეიმურაზ ადგილსა მარაბდად წოდებულსა. ამ ბრძოლაში მხნედ გამოდიოდნენ ცხრანი ძმანი ხერხეულიძენი და მერე მათი შთამომავლობაცა იყვნენ პატივცემულნი მეფეთაგან და მოხელეთა იყვნენ სხვადასხვა სამსახურსა შინა“.

ფოტო „ლელოს“ არქივიდან: მიხეილ ხერხეულიძე აჯილდოებს გამარჯვებულ მოჭიდავეს.

გაუხდა ერთხანს ავადმყოფი. შემდეგ ამოთქვა: დახე, რანი ვყოფილვართ!

ძია მიშა ათლეტური, რაინდული აღნაგობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ გულით — ერთგული, მოსიყვარულე, სანდო კაცის გულით კი ნამდვილად სახელოვან წინაპრებსა ჰგავდა. შეუპოვარი, მტკიცე, გაუტეხელი კაცი იყო, ამიტომაც გაჰქონდა ლელო, მაგრამ სიკვდილთან ვის გაუმარჯვია. მოჭიდავეთა უსტაბაშიც ნახერხმოყრილ სარბიელზე დაეცა. ეს მოხდა 1958 წლის 27 ივლისს...

წელს ოთხმოცდაათისა გახდებოდა.

ივანე ტერუნაშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, რესპუბლიკის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივანი.

რეპლიკა

„ჟურნალისტებისთვის გზა ჩაკეტილია“

ჟურნალისტს, მით უფრო, თუ იგი სპორტული პრესის წარმომადგენელია, ზოგჯერ უამრავი სიძნელის გადალახვა უხდება, ვიდრე თუნდაც ერთ სულ მცირე, მაგრამ მკითხველისათვის მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას მიაწვდიდეს გაზეთს. ჟურნალისტი, თუ მოვლენების გულში არ ტრიალებს და რაც ხდება, საკუთარი თვალით ვერ ხედავს, მკითხველს საინტერესო მასალას ვერ შესთავაზებს. ამიტომ იგი მუდამ სწორედ მოვლენების შუაგულისკენ ისწრაფვის და ეს სულაც არ გახლავთ მისი პრეტენზია ან ახირება.

გასულ კვირას ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში სპორტისა და ჯანმრთელობის დღესასწაული ჩატარდა. ზეიმი გაიმართა თბილისის თითქმის ყველა უბანში, აეროპორტის დასახლებიდან დაწყებული, დიღმის ტყე-პარკით დამთავრებული. რედაქციამ დროულად დაიჭირა თადარიგი. გაზეთის შემოქმედებითი მუშაკებისთვის ეს დღე სამუშაო დღედ გამოცხადდა, თითოეულს ქალაქის რამდენიმე რაიონი და უბანი უნდა შემოევლო, რათა შემდეგ მკითხველისათვის კორესპონდენტების მიერ პირადად ნანახითა და განცდილით გაგვეცნო ამ დღესასწაულის სულისკვეთება.

კუს ტბა ასეთი ზეიმების დროს ყველაზე მეტად იზიდავს ფიზკულტურისა და სპორტის მოყვარულებს. ამიტომ რედაქციამ იქ გაგზავნა ჟურნალისტი, რომელიც ტექსტსაც მოამზადებდა და ფოტოფირზეც ასახავდა სპორტისა და ჯანმრთელობის დღესასწაულის ფრაგმენტებს. მაგრამ კორესპონდენტი კუს ტბის გზას დაადგა თუ არა, წესრიგის დამცველებმა გზა გადაუკეტეს. არც ჟურნალისტის პირადობის მოწმობამ გაჭრა, არც ნახევარსაათიანმა ახსნა-განმარტებამ. ამ ამბავს ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ჯანსუღ ბაგრატიონი შეესწრო, მაგრამ საქმეში მისი ჩარევის შემდეგაც კარგა ხანს არ მისცეს კორესპონდენტს „მწვანე გზა“. რატომო, ალბათ იკითხავთ. ასეთი შეკითხვა ჟურნალისტმაც დაუსვა წესრიგის დამცველებს და ამ „ხელჩართულ ინტერვიუში“ ასეთი პასუხი მიიღო: თქვენ ხომ თავად წერთ ფეხით სიარულის სიკეთეზე; ბოდა, მერე რა, რომ ჟურნალისტი ხართ, ფეხით საითაც გინდათ, იქით მიბრძანდითო. აბა იმას როგორ ვიტყვით, რომ ფეხით სიარული მართლაც დიდი სიკეთე არ არის და რასაც ვწერთ, თავად ვართ იმის წინააღმდეგი. მაგრამ როგორ გინდა აუხსნა ზოგიერთს, რომ სწორედ ასეთ დღეს არ სცალიათ ფეხით სასიარულოდ რედაქციის თანამშრომლებს, რომლებმაც ორსამ საათში უნდა შემოიარონ დედაქალაქის სპორტული ბაზები, კულტურისა და დასვენების პარკები, მიკრორაიონები?

არა გვგონია, იმათთვის, ვინც კუს ტბისკენ მიმავალ სამანქანო გზაზე წესრიგს იცავდა, ვინმეს მითითება მიეცეს, განსაკუთრებით ჟურნალისტებს ადევნეთ თვალყურიო, მხედველობიდან არავინ გამოგრჩეთ და გზაზე არ გაგეპაროთო. სხვათა შორის, ჟურნალისტის თვალწინ, რამდენიმე მანქანას და მის მგზავრებს ფეხით სიარულის სიკეთის შესახებ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დაულოცეს გზა.

ზოგიერთმა შეიძლება თქვას: ღირდა კი ამ ფაქტის გახმაურებაო? ჩვენი აზრით, ღირდა, თუნდაც იმიტომ, რომ ეს შემთხვევა გამონაკლისი არ არის. ჟურნალისტს ხელი არ უნდა შევუშალოთ რედაქციის დავალების შესრულებაში.

P.S. ბოლოს და ბოლოს კორესპონდენტი გაატარეს კუს ტბისკენ, მაგრამ უკვე გვიან იყო. ვერც ასპარეზობებს დაესწრო და ვერც ფოტოსურათები გადაიღო. ამიტომაც ასე მშრალად აისახა „ლელოს“ გუშინწინდელ ნომერში კუს ტბაზე ჩატარებული ზეიმი. ამასთან, რედაქციის წარმომადგენელმა, ცხადია, სხვაგანაც დააგვიანა, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, მას მარტო კუს ტბაზე გამართულ დღესასწაულზე დასწრება არ ჰქონდა დავალებული.

30 და 31 მარტს გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის II ტურის კალენდარული შეხვედრები. მოგვყავს ტურის სტატისტიკური მონაცემები.

აღმოსავლეთი ზონა

„კახეთი“ (თელავი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 4:0. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი). გოლები: იაშვილი-2, რაზმაძე, აბდულაევი.

გააფრთხილეს „ქართლის“ ფეხბურთელი ვ. ხანიშვილი.

„მადნეული“ (ბოლნისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:0. მსაჯი ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული).

გააფრთხილეს ბად. უგულავა („მადნეული“) და გ. ხურცილავა („მეტალურგი“).

„იბერია“ (ხაშური) — „იმედი“ (თბილისი) 1:1. მსაჯი შ. თომაშვილი (თბილისი). გოლები: ხაჩიძე („იბერია“), მაისურაძე („იმედი“).

„ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „არაგვი“ (დუშეთი) 4:0. მსაჯი მ. პელიძე (თბილისი). გოლები: წვერავა-2, წიქარიშვილი, შუბითიძე.

„არმაზი“ (მცხეთა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:1. მსაჯი ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული). გოლები: ხუცურაული („არმაზი“, საკუთარ კარში), ხალოევი („არმაზი“).

გააფრთხილეს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის მოთამაშე გ. ფარფალია.

„შევარდენი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:2. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი). გოლები: ტყავაძე („შევარდენი“), საშკოევი, ხუბეჯიშვილი („სპარტაკი“).

საქართველოს პირველობა

გააფრთხილეს ცხინვალელი ფეხბურთელები გ. რომელაშვილი, მ. დურგლიშვილი. ა. ჯიოევი ჯერ გააფრთხილეს, მერე კი მინდვრიდანაც გააძევეს. გააფრთხილეს აგრეთვე, თბილისელები ბ. ჩადუნელი და მ. კორსავა.

„ავტომობილისტი“ (თბილისი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:1. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი). გოლები: ელოევი-2 („ავტომობილისტი“), ტალახაძე („დურუჯი“).

აღსანიშნავია, რომ მატჩზე მსაჯად დანიშნულმა მ. პელიძემ (თბილისი) თამაშზე დაიგვიანა და არბიტრობა მის კოლეგას მოუხდა.

დასავლეთი ზონა

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სულორი“ (ვანი) 1:0. მსაჯი ჯ. ჩუხუა (თბილისი). ბურთი გაიტანა დადუნაშვილმა.

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 1:1. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი). გოლები: ფაიქიძე („იმერეთი“), სევასტოპულო („მაღაროელი“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ქუთაისელი ფეხბურთელი თ. ფაიქიძე, ასევე ყვითელი ბარათი დაიმსახურა მსაჯთან კამათისთვის მისმა თანაგუნდელმა გ. ბრეგვაძემ. მსაჯის შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს „მაღაროელის“ ფეხბურთელი თ. ჯანგავაძე, ხოლო მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს მისი თანაგუნდელი ა. გაჩეჩილაძე.

„დინამო“ (გაგრა) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 1:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). ბურთი გაიტანა რაგბიანმა.

„მზიური“ (გალი) — „გახმარო“ (ჩოხატაური) 0:0 მსაჯი ჯ. ჩუხუა (თბილისი).

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ხობი“ (წალენჯიხა) 5:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: გუჩუა, ქობალია, ჭითანავა-2, კოკაია.

„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი). გოლები: ქავთარაძე, ციმაკურიძე.

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „კოლხეთი“ (ხობი). მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი). ბურთი 11-მეტრიანით გაიტანა ნემსაძემ.

ტურის კომენტარი

ვინც რესპუბლიკური ჩემპიონატის მსვლელობას ადევნებს თვალს, დარწმუნებული ვართ, იცის, რომ I ტურის მატჩები უამინდობის გამო გადაიდო, ამიტომ 30 და 31 მარტს ფაქტიურად მეორე ტურის შეხვედრები ჩატარდა. ეს ჯერ მხოლოდ ჩემპიონატის სტარტია, დასაწყისი, შეჯიბრების მონაწილე გუნდები, მწვრთნელები, ფეხბურთელები, სპორტის ადგილობრივი მესვეურები მრავალგზის გააფრთხილეს და პრევენტულ, წინასწარ ზომებსაც მიმართეს, მაგრამ ჩვენს საფეხბურთო მინდვრებზე უკვე დაიწყო თავაშვებული ხულიგნობა, ყოვლად დაუშვებელი, შეუწყნარებელი უდისციპლინობა. არადა, ჯერ არ შექმნილა იმგვარად დაძაბული ვითარება, ჩემპიონატის მომდევნო ეტაპზე რომ იჩენს ხოლმე თავს, არც სატურნირო მდგომარეობა აიძულებს ფეხბურთელებს ასე გაცხარდნენ და დაკარგონ თვითკონტროლის უნარი. ჩვენი აზრით, უმკაცრეს, უსასტიკეს ზომებს ამთავითვე უნდა მივმართოთ, რათა ავლაგმოთ თავგასულ ხულიგანთა უსაქციელობა.

აბა, რა უნდა გითხრათ ჭიათურის „მაღაროელის“ ფეხბურთელის თემურ ჯანგავაძის შესახებ? მან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა არბიტრს და როცა ამ უკანასკნელმა ხულიგანი მინდვრიდან გააძევა, თ. ჯანგავაძე ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადავიდა. იგი სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს. უშუალოდ ჭიათურის „მაღაროელის“ კოლექტივი, ქალაქის სპორტული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები ალბათ ყველა ზომას მიმართავენ. რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ კი სასწრაფოდ, შეიძლება რიგგარეშეც, უნდა იმსჯელოს ხულიგანი ფეხბურთელის საქციელზე და საკადრისად დასაჯოს იგი. თ. ჯანგავაძეს და მის მსგავსებს სპორტულ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება უნდა ჩამოერთვათ. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე ჩადენილი ამ აშკარა დანაშაულისათვის ხულიგანს, ალბათ, მართლმსაჯულების ორგანოებიც მოსთხოვენ პასუხს.

იმავე მატჩში გააფრთხილეს ქუთაისელი ფეხბურთელები თ. ფაიქიძე და გ. ბრეგვაძე, აგრეთვე, ჭიათურელი ა. გაჩეჩილაძე. გადამწრელი ზომები უნდა მივიღოთ მათ მიმართაც. იქნებ, ჭიათურის „მაღაროელისა“ და ქუთაისის „იმერეთის“ თამაშის დროს არც მომხდარიყო ასეთი უმსგავსოებანი, „მაღაროელის“ სტადიონი მზად რომ ყოფილიყო შეჯიბრების ჩასატარებლად, საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ქალაქ ჭიათურის ცენტრალურ სტადიონზე რესპუბლიკური ჩემპიონატის ალმის აღმართვის დროს... არ შესრულდა საქართველოს ჰიმნი. განა შეიძლება შეჯიბრების ორგანიზატორებს ეპატიოთ ეს?

ასევე მოუმზადებელი შეხვდა საქართველოს ჩემპიონატის გახსნას ბოლნისის რაიონის მთავარი სტადიონი. მართალია, აქ იმ დღეს ნაჩქარევად მოაწესრიგეს ფეხბურთელთა გასახდელები და სამსაჯო ოთახი, სათამაშო მინდორიც დახაზეს, მილიციის მუშაკებიც ადგილზე იყვნენ, მაგრამ დროშა აქაც ჰიმნის გარეშე აღიმართა. თურმე, ნუ იტყვით და ორგანიზატორებს „დავიწყებიათ“ მაგნიტოფონის ჩართვა.

ბოლნისის სტადიონს არა აქვს საინფორმაციო ტაბლო. ამას რომ თავი დავანებოთ, ვინ დაიჯერებს, მაგრამ ამ მოზრდილ ბაზაზე არ არის საპირფარეშოც კი, თუ არ ჩავთვლით ფიცრის გაპარტახებულ ხუხულას გასახდელის გვერდით.

თვით „მადნეულის“ ზოგიერთი ფეხბურთელი, უმეტესად ისინი, ვინც ვეტერანებად ითვლება და მაგალითს უნდა აძლევდეს ახალგაზრდებს, ერთთავად მუშტებზე იხედებიან, დისციპლინის დარღვევას მათგან ყოველ წუთს უნდა მოელოდე. „მადნეულის“ ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ დიდი გარჯა მართებს იმისათვის, რომ თავის სპორტულ ბაზაზეც და გუნდშიც წესრიგი დაამყაროს.

ჭიათურისა და ბოლნისის სტადიონებისაგან განსხვავებით, ფრიად სასიამოვნო სანახავი იყო ჩემპიონატის გახსნის დღეს მცხეთის სტადიონი. აქ სრული წესრიგი სუფევდა. საუცხოოდაა მომზადებული სათამაშო მინდორი, ტაბლო, ფეხბურთელთა და მსაჯთა გასახდელები, შეუკეთებიათ ტრიბუნები, კარგად მუშაობს რადიოკვანძი.

დიახ, საქართველოს 1985 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი ეს-ესაა დაიწყო და უკვე „გამოიჩინეს თავი“ მეტისმეტად „ემოციურმა“ სპორტსმენებმა. რაზან განმარტებითი საქმიანობა და აღმზრდელობითი ღონისძიებანი ყველა მათგანზე არ ჭრის, ამიტომ საჭიროა ახლავე მივმართოთ რადიკალურ ზომებს რესპუბლიკის საფეხბურთო ცხოვრებაში სრული წესრიგის დასამყარებლად.

ვისი სტრატეგია ჯობდა?

სპორტში სასწაული იშვიათად ხდება, თუმცა იმ დღეს, 1960 წლის პირველ სექტემბერს, რომის ოლიმპიურ სტადიონზე ერთბაშად ორი სასწაული მოხდა. თანაც როგორი სასწაული!

100 მეტრზე ვაჟთა რბენის ფინალში უპირატესობას, ტრადიციისამებრ, ამერიკელ მძლეოსნებს ანიჭებდნენ. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდნენ სპეციალისტები. ამავე აზრისა იყო მაყურებელიც. მაგრამ... ფინალური გარბენის დროს გერმანელი არმინ ჰარი ისეთი ძალით მოსწყდა სტარტს და პირველსავე მეტრებზე ისეთი დიდი უპირატესობა მიიღო, რომ იქვე მყოფმა მსაჯმა თვალებს არ დაუჯერა და ხელმეორე გასროლით შუამდე მისული სპორტსმენები უკან მოაბრუნა. ასეთ დროს გაფრთხილება სავალდებულოა, მაგრამ ვინ უნდა გაეფრთხილებინა მსაჯს. როცა წესი არავის დაურღვევია? ცოტა უხერხული სიტუაცია შეიქმნა.

— იყავით ყურადღებით, ელოდეთ ჩემს ნიშანს!

ეს სიტყვები თავის მართლებას უფრო ჰგავდა, მით უფრო, რომ კონკრეტულად არავისათვის არ იყო გამიზნული. მაგრამ მსაჯმა ყოველი შემთხვევისთვის ხაზი გაუსვა თავის უფლებებსა და ავტორიტეტს.

იმ დღეს არმინ ჰარიმ მაინც გაიმარჯვა, მაგრამ ხალხს უფრო მსაჯის მიერ გაუქმებული გარბენი დაამახსოვრდა, რომელშიც არმინ ჰარი ალბათ „გამოვიდოდა“ 10 წამის ფარგლებიდან.

მეორე სასწაული ხტომის სექტორში მოხდა. იქ ჯერ კიდევ ბრძოლის დაწყებამდე მთავარ ფიგურად 19 წლის ამერიკელი ზანგი ჯონ თომასი ითვლებოდა. სხვათა შორის, ამერიკელი მძლეოსანი თვითონაც არ მალავდა, რომ რომში მხოლოდ გამარჯვებისათვის ჩამოვიდა. წინა ღამით პრესკონფერენციაზე იგი ჯვარს აცვეს ჟურნალისტებმა, მაგრამ თომასს რკინის ნერვები აღმოაჩნდა და მთელი სამი საათის განმავლობაში მორჩილად პასუხობს:

— დაამყარებთ მსოფლიო რეკორდს?

— კონკურენციას გააჩნია.

— ვინ იქნება თქვენი უახლოესი მეტოქე?

— ის, ვინც ბრძოლაში ბოლომდე გამომყვება.

— ვინ ჰყავს ასეთი მონაწილეთა შორის?

— შეჯიბრების მერე ვნახოთ.

— რა სიმაღლეზე გადახტებით?

— ზუსტად იმდენზე, რამდენიც გამარჯვებისათვის იქნება საჭირო.

ბოსტონელი სტუდენტის წარმატებაში ეჭვი მრავლისმნახველ სპეციალისტებსაც არ ეპარებოდათ. კამათობდნენ მეორეხარისხოვან ამბებზე: რა სიმაღლე დაემორჩილებოდა ჩემპიონს, რამდენი იქნებოდა რეკორდი, ვინ დაიკავებდა მეორე და მესამე ადგილებს. ამ დავა-კამათში ზოგჯერ სხვა მხტომელთა გვარებსაც მოჰკრავდით ყურს. უფრო ხშირად თომასის თანაგუნდელის ჩარლზ დიუმასის გვარი გაისმოდა. ასახელებდნენ ბრუმელსაც, იშვიათად — ბოლშოვსა და შავლაყაძეს.

თომასმა შეჯიბრება ამერიკული რეკლამების სტილში დაიწყო: ჯერ სტადიონზე გამოჩნდა, მაყურებლებს ტაში გამოსტაცა, მერე სადღაც გაუჩინარდა, ზედიზედ რამდენიმე სიმაღლე გამოტოვა და სტარტზე მაშინ გავიდა, როცა თამასა



ორი მეტრის სიმაღლეზე დაამაგრეს. ამ სპექტაკლს ფსიქოლოგიური ეფექტი უფრო ჰქონდა და პირველ ყოვლისა, მოწინააღმდეგეთა დასათრგუნავად იყო გამიზნული. მაყურებლებზეც, ცხადია, იმოქმედა, მაგრამ მათ ამერიკელის გარშემო შექმნილ საერთო აჟიოტაჟში ის ვერ შეამჩნიეს, რომ წინა სიმაღლეები შავლაყაძემაც გამოტოვა და ისიც, ფაქტიურად, ორი მეტრიდან იწყებდა შეჯიბრებას.

203 სანტიმეტრი ავად თუ კარგად ცამეტმა სპორტსმენმა გადალახა. მერე მსაჯებმა ამ სიმაღლეს კიდევ 3 სანტიმეტრი დაამატეს. განსხვავება თითქოს უმნიშვნელო იყო, მაგრამ ეს სამი სანტიმეტრი ბევრისათვის საბედისწერო ზღვარი აღმოჩნდა. ბრძოლას გამოაკლდა ერთი-ორი ფავორიტიც, მათ შორის ჩარლზ დიუმასი. ხტომის სექტორში ხუთნიღა დარჩნენ: თომასი, ბრუმელი, ბოლშოვი, შავლაყაძე და შვედი სტიგ პეტერსონი.

იმ დღის ყველა შეჯიბრება, ფაქტიურად, დამთავრებული იყო. სტადიონზე ბინდი ჩამოწვა, მაგრამ შინ წასვლას არავინ ჩქარობდა. 70 ათასი მაყურებელი გუმანით გრძნობდა, რომ ადრე თუ გვიან რაღაც მოულოდნელი მოხდებოდა.

212 სანტიმეტრზე მთლად დაბნელდა, სინათლის ჩართვას კი რატომღაც აგვიანებდნენ. აქა-იქ უკმაყოფილო მაყურებლის სტვენაც გაისმა.

სიმაღლე პირველი ცდით დასძლიეს შავლაყაძემ, ბრუმელმა, ბოლშოვმაც. პეტერსონმა თამასა ჩამოაგდო და ვინაიდან ეს მისი ბოლო ცდა იყო, ბრძოლა დაამთავრა. თომასმა ეს სიმაღლეც გამოტოვა.

შეჯიბრების მეექვსე საათი რომ დაიწყო, თამასა 214 სანტიმეტრზე დაამაგრეს. ხტომის სექტორში ლანდმა გაიელვა. მხოლოდ რბენის მანერით მიხვდებოდით, რომ ეს შავლაყაძე იყო. ლანდი მსუბუქად გადაევლო სიმაღლეს და ტრიბუნებზე ტაშმა იქუხა. 214 სანტიმეტრი ბრუმელსაც პირველ ცდაზე დაემორჩილა. ბოლშოვმა კი ნახტომი ბოლო მომენტში გააფუჭა.

ჯონ თომასი, — გაისმა დიქტორის ხმა და უცებ ასობით პროჟექტორი აკაშკაშდა. ეფექტი მართლაც დიდი იყო, მაგრამ თავის თავში დაჯერებული თომასი რატომღაც აღელდა. ასეთ დროს სპორტსმენი ფიქრობს ეფექტი არ გავაფუჭოო, და, როგორც კი ამ აზრმა გაუელვა თავში, რბენის რიტმი შეეცვალა... დაირღვა ტემპი, შემცირდა გარბენის სიგრძე, შემოკლდა ბოლო ნაბიჯიც და მოხდა სასწაული — თამასა ჩამოვარდა.

ამერიკელი შინაგანად ალბათ ყველაფერს ელოდა, ამის გარდა, მაგრამ ვითომც არაფერიო, მყისვე წამოხტა და სტარტისაკენ სწრაფი ნაბიჯებით გაემართა. ბოლო მომენტში მსაჯმა შეაჩერა — ჯერ ბოლშოვის რიგი იყო.

216 სანტიმეტრი შავლაყაძემ ისევ პირველსავე ცდაზე, მსუბუქად, საკმაოდ დიდი მარაგით დაძლია. იგივე სიმაღლე ბრუმელმაც დაიმორჩილა, ოღონდ მეორე ცდის შემდეგ. თომასმა კი... თუმცა თომასი უკვე ის აღარ იყო, რაც ექვსი საათის წინ, აღარც სითამამე ჰქონდა. გუშინდელმა ფავორიტმა სულ რაღაც ათ წუთში სამივე ცდა გაფუჭა და მაყურებელთა გამაყრუებელი სტვენის ხმაში სადღაც მიიმალა.

მეორე დღეს ოლიმპიურ სოფელში ფოსტა მოიტანეს. უცხოურ გაზეთებს პირველ გვერდზე რობერტ შავლაყაძის ფოტო დაებეჭდათ. გამონაკლისი იყო შვეიცარიული „არბეტეტი“, საიდანაც მოღიმარი თომასის ვეებერთელა ფოტო იყურებოდა მოკლე წარწერით: „მიამაგრეთ თომასი საბჭოთა მწვრთნელებს. იგი უსათუოდ გადახტება 230 სანტიმეტრზე“.

საბჭოთა ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა ვლადიმერ დიაჩკოვმა თომასის მარცხს ცხელ გულზე ასეთი კომენტარი გაუკეთა (მისი სიტყვები მსოფლიოს თითქმის ყველა გაზეთმა დაბეჭდა): „ჩვენი სტრატეგია მარტივი და ადვილად მისახვედრი იყო. მას, სხვათა, შორის, ამერიკელებისაგან განსხვავებით არც ვმალავდით. თომასმა — მის ნიჭიერებაში ეჭვი არ შემაქვს — ოლიმპიადის წინ ბევრი გამარჯვება მოიპოვა, გაცილებით მეტი, ვიდრე საჭირო იყო. რომში, სავსებით ბუნებრივია, მას არც ძალა ეყო და არც სიმტკიცე. თომასი შეჩვეული არ იყო მძაფრ კონკურენციას, აქ კი შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა. ცხადია, მის გამოსვლაზე ამანაც იმოქმედა. ერთი სიტყვით, თომასის მთელი სტრატეგია ჩვენს მხტომელებზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ეყრდნობოდა, მაგრამ, როგორც კი ხელი მოეცარა, მაშინვე თავისი სტრატეგიის მსხვერპლი გახდა. ამიტომ საკითხავია, ვისი სტრატეგია სჯობდა?“

ნოდარ გუგუშვილი.

„ლელოს“ არქივიდან ამოღებული ეს ფოტოსურათი გადაღებულია 1959 წელს ფილადელფიაში აშშ — სსრ კავშირის მძლეოსანთა ამხანაგური მატჩის დროს. სურათზე (მარჯვნიდან): რ. შავლაყაძე, რ. ვილიამსი, ი. კაშკაროვი და ჩ. დიუმასი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

ჯერ კიდევ არის დრო

ალმაათელ რეგბისტთა გუნდი რომ ხელწამოსაკრავი კოლექტივი არ არის, ეს შარშანდელმა ჩემპიონატმა დაადასტურა — უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა რვა უძლიერესს შორის დაიმკვიდრა ადგილი. არმიელები წელსაც საუცხოოდ არიან მომზადებული. ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით ამ მატჩში ისინი მასპინძლებთან შედარებით ბევრად უკეთ გამოიყურებოდნენ.

თუ წინა თამაშში სსა-სთან „ლოკომოტივის" თავდასხმა შედარებით უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე სამმეოთხედელი მცველები, ამჯერად სურათი შეიცვალა. მასპინძელთა სამმეოთხედელები უფრო აქტიურობდნენ. ეს ალბათ იმანაც განაპირობა, რომ სამმეოთხედელთა ხაზში კარგად ჩაერთო გამოცდილი გივი ავლასტიმოვი, თავდამსხმელებმა კი, როგორც ჩანს, დიდი ენერგია შეალიეს წინა მატჩს და არასაკმარისი ფიზიკური მომზადების გამო მეორე თამაშისთვის ენერგია აღარ ეყოთ. ამ მატჩში სტუმართაგან ორი საჯარიმო გაიტანა 1983 წლის საკავშირო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ბუგროვმა (ადრე იგი მოსკოვის „ლოკომოტივში" თამაშობდა).

პირველი ტაიმის ბოლო წუთზე ასევე საჯარიმო დარტყმით 45 მეტრიდან თავესიანებს სამი ქულა შესძინა ვალიშვილმა — 3:3.

მეორე ტაიმში დასახსომებელი იყო მიხეილ ხარშილაძისა და გივი ავლასტიმოვის კარგი შესვლა მოწინააღმდეგის მოედნის ნახევარზე.

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 2 აპრილი

„ლოკომოტივი" (თბილისი)	3:6	ასკ (ალმა-ათა)
მჭედლიძე		მელნიკოვი
კარკაძე		კრუჩკოვი
ბაკურაძე		მორგუნი
კაშია		მიშაკოვი
ცხვარაძე		ბოგდანოვი
მონიავა		კადიროვი
ვალიშვილი		სტალმახოვიჩი
ლიბრაძე		ისხაკოვი
ჟეიშვილი		იაკოვიდი
თავაძე		ბუგროვი
ავლასტიმოვი		კრუტინი
შერაზადაშვილი		ფილიპოვი ვლ.
ხარშილაძე მ.		ფილიპოვი ვიაჩ.
ჟილაია		ფილიმონოვი
მამრიკიშვილი		ზუევი

მჭედლიძის ნაცვლად — **დათუნაშვილი**, კარკაძის ნაცვლად — **ქერაშვილი**, მამრიკიშვილის ნაცვლად — **ბეზარაშვილი**, მორგუნის ნაცვლად — **გოლუშევი**, ვიაჩესლავ ფილიპოვის ნაცვლად **ქარიკოვი**.

მსაჯი რაზდორსკი (მოსკოვი).

მოლში ჯგუფური შეტევისას თბილისელები ხშირად კარგავდნენ ბურთს, დაკარგული ბურთის დაბრუნებას კი დიდი დრო და ენერგია მიჰქონდა.

როდესაც მასპინძლებმა იგრძნეს მარცხის მოახლოება, მძლავრად შეუტიეს მეტოქეს, თუმცა ასკ-ც ხშირად მიმართავდა მწვავე კონტრშეტევებს. თბილისელებს ბევრი შეცდომა მოსდიოდათ, — განსაკუთრებით ბურთის მიღებისას. იყო სხვა წუნიც — თავდამსხმელები შერკინების შემდეგ დროულად არ იხსნებოდნენ სამმეოთხედელი მცველების დასახმარებლად.

საბოლოოდ „ლოკომოტივმა" ვერ შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა, არადა, ამ მატჩის მოგება მას ჰაერივით სჭირდებოდა.

ზედიზედ ორი მარცხი ჩემპიონატის სტარტზე ვერაფერი შედეგია, მაგრამ კატასტროფაც არ არის. ქართველ რეგბისტებს მომდევნო მატჩებში მეტი მონდომება და თავგანწირვა მართებთ — ჯერ კიდევ შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება.

** გაბრიელ ბარჯაძე.**

გუშინ...

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართეს ფინეთის „ლაუტპესთან", რომელიც თავისი ქვეყნის პირველობაზე II დივიზიონში გამოდის.

„დინამომ" გაიმარჯვა—4:0 (2:0), ბურთები გაიტანეს შენგელიამ, კაკილაშვილმა და გურულმა (2).

საქართველოს ჩემპიონატი შაშში

100 - უჯრიანი დაფის ჩემპიონები

თითქმის სამი კვირა მიმდინარეობდა თბილისის ჭადრაკის სასახლეში მოშაშე ქალთა საქართველოს ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში. შეჯიბრებაში 14 სპორტსმენი მონაწილეობდა.

11-11 ქულით I-II ადგილები გაიყვეს თამარ გრიგოლიამ (სამტრედია, „კოლმეურნე") და იამზე წივწივაძემ (თბილისი „სპარტაკი"). ჩემპიონის სახელი მიეკუთვნა გრიგოლიას, რომელსაც კოეფიციენტთა ცხრილით უკეთესი მაჩვენებელი აღმოაჩნდა.

თამარ გრიგოლია

არტურ გოიხმანი

10,5 ქულით III ადგილზე გავიდა ოსტატი მზია მოსიძე (თბილისი).

ბათუმში დამთავრდა ვაჟთა შორის საქართველოს ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში.

10,5 ქულით (12-დან) ჩემპიონის სახელი მოიპოვა ოსტატმა არტურ გოიხმანმა. II ადგილი დაიკავა თბილისის 102-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლემ, ოსტატმა ჯუმბერ ბერიშვილმა — 9,5. III ადგილი წილად ხვდა ოსტატ შოთა ბოთერაშვილს (სამტრედია) — 8,5.

ვლადიმერ კანდელაკი
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი

ბაქოს ფიცარნაგზე

ეს ქალაქი 3 დღის მანძილზე მასპინძლობდა ახალგაზრდა ძალოსანთა (1969-1970 წწ. დაბადებულნი) საკავშირო პირველობას. ამ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკიდან სამი სპორტსმენი გამოდიოდა. სამივემ კარგი შედეგი აჩვენა. IV ადგილზე გავიდა ახალციხელი ამბარცუმ ტოროსიანი (90 კგ. მწვრთნელი გივი ქურდაძე). 272,5 კგ ასწია (117+155); მეხუთე იყო ვარკეთილელი ელგუჯა მინაძე (60 კგ. მწვრთნელი ზურაბ ჭაპიძე) — 212,5 (87,5+115), VI ადგილზე გავიდა. ცხინვალელი კახი კახიაშვილი (67,5 კგ. მწვრთნელი ივანე გრიქულოვი) — 237,5 (110+127,5).

გამოვიდა ჟურნალ „მართვეს" 1984 წლის მესამე და მეოთხე ნომრები, რომლებსაც დიდი ხანია ელოდა მკითხველი.

ჟურნალის მესამე ნომერი იხსნება გიორგი ჩოჩიშვილის წერილით „დღესასწაული სკოლაში", რომელიც დაბეჭდილია რუბრიკით „ჯანსაღ სხეულში — ჯანსაღი სული". წერილი ეძღვნება თბილისის 41-ე საშუალო სკოლაში ჩატარებულ ერთ ფიზკულტურის გაკვეთილს.

„მართვეს" საჭადრაკო დარბაზში მკითხველი შეხვდება ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონს მაია ჩიბურდანიძეს. ჟურნალისტ ირაკლი ბერიაშვილის წერილში — „შესწევს ძალა ქადილისა" — საუბარია ჩიბურდანიძე-ლევიტინას მატჩზე, რომელმაც ქართველ მოჭადრაკეს მესამედ მოუტანა დედოფლის გვირგვინი. აქვე მოყვანილია ქალთა შორის ყველა მსოფლიო ჩემპიონის სია.

„უპირველესი ამოცანა ფიზიკური აღზრდისა მოზარდის ჯანმრთელობის დაცვა, ორგანიზმის გამოწრთობა და ნორმალური განვითარებაა", — ვკითხულობთ ომარ ცხადაძის წერილში „აღზრდის ჰარმონიისათვის". ავტორი გვაცნობს გამოჩენილი საბჭოთა პედაგოგის ვასილ სუხომლინსკის მოსაზრებებს მოზარდთა ფიზიკური აღზრდის შესახებ.

ცნობილი ქართველი მომღერალი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი პაატა ბურჭულაძე არცთუ შორეულ წარსულში რეგბისტი იყო. ინტერვიუს ყოფილ სპორტსმენთან გთავაზობთ ჟურნალისტი შალვა შალოლაშვილი.

„მართვე" №3 და №4

რეგბის, უფრო ზუსტად კი ბავშვთა რეგბის, ეძღვნება სპორტის ოსტატ დავით კილასონიას წერილი „ლელოს ლვიძლი ძმა", რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად რამდენიმე პრობლემაც არის წამოჭრილი.

ფეხბურთის მოყვარულნი უთუოდ დიდი ინტერესით წაიკითხავენ ნარკვევს თბილისის „დინამოს" ცენტრალურ თავდამსხმელზე რამაზ შენგელიაზე.

რუბრიკას „8X8" ტრადიციულად უძღვება ოსტატობის კანდიდატი გიორგი კაკაბაძე. რუბრიკები „ფოტოარქივი" და „რეტრო" ძველი თაობის წარმომადგენლებს ახალგაზრდობას გაახსენებს, მოზარდებს კი ბევრ საინტერესოს მოუთხრობს.

„მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები". ამ პოპულარული რუბრიკით „მართვე" აქვეყნებს წერილს ცნობილ ბრაზილიელ ფეხბურთელ ეიდერზე: „ვარსკვლავი, რომელიც უყვართ ქალებს".

ჟურნალი განაგრძობს ბეჭდვას კარენ და პეტერ ცებროფების წიგნისა „იოგა ოჯახში", რომელიც გერმანულიდან თარგმნა ლაშა დადიანმა.

1984 წლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სპორტული მოვლენა ლოს-ანჯელესის ზაფხულის ოლიმპიადა იყო. როგორც ცნობილია, ამ ასპარეზობაში არ მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირისა და ბევრი სხვა სოციალისტური ქვეყნის წარმომადგენლები. მაგრამ სპორტის მოყვარულთათვის, სპეციალისტებისათვის უდავოდ სასარგებლო იქნება გაეცნონ XXIII ოლიმპიური თამაშების ტექნიკურ შედეგებს, რაც გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნით შეჯიბრების საერთო დონეზე.

ჟურნალში შეხვდებით ტრადიციულ განყოფილებებსაც: „ნაირნაირი" და „იუმორი".

„მართვეს" მეოთხე ნომერი მთლიანად მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადას ეძღვნება. მკითხველი აქ იპოვის ყველაფერს, რაც კი ტაშკენტში გამართულ ამ დიდ ფორუმთანაა დაკავშირებული.

„მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადა 1984 წლის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ასპარეზობა იყო ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს ნორჩ სპორტსმენთა მიერ ამ შეჯიბრებაში მოპოვებული საერთო შედეგები არა მარტო წინგადადგმული ნაბიჯია, არამედ ერთგვარი იმედიც მთელი ქართული სპორტის მომავლისა. შეიძლება ითქვას, იწყება დაკარგული ტრადიციების აღორძინება, ეს პროცესი კი გამუდმებულ გონივრულ მართვას, საყოველთაო ზრუნვასა და მხარდაჭერას მოითხოვს", — ვკითხულობთ ჟურნალში.

„ტრადიციის აღორძინება" — ასე ჰქვია წერილს, რომელშიც მიმოხილულია სპარტაკიადის შედეგები, მოყვანილია საინტერესო ცხრილები, ცნობილ სპეციალისტთა გამონათქვამები.

ამავე ნომერში დაბეჭდილი დოსიეები და ჩანახატები ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებზე, ვინც ტაშკენტში ოქროს მედალი მოიპოვა.

რუბრიკით „მხოლოდ ტექნიკური შედეგები" მოყვანილია ასპარეზობის საერთო შედეგები ყოველ ცალკეულ სახეობაში და საქართველოს უკლებლივ ყველა სპორტსმენის მიერ დაკავებული ადგილი.

„ნაირ-ნაირი" — ამ რუბრიკით დაბეჭდილ მასალებში შეიტყობთ ტაშკენტში მომხდარ საინტერესო ამბებს.

ფოტობლოკში „ოსტატი და შეგირდი" შეხვდებით წარსულში ცნობილ სპორტსმენებს, რომლებიც ახლა მოზარდი თაობის აღზრდას ემსახურებიან.

ჟურნალი იხურება „მართვეში" 1984 წელს გამოქვეყნებული მასალების საძიებლით. „მართვეს" ორივე ნომერი უხვადაა ილუსტრირებული.

კალეიდოსკოპი

გაიმარჯვეს ინგლისელებმა

ლონდონი. სახელგანთქმულ „უემბლის" სტადიონზე 38 ათასი მაყურებელი დაესწრო ინგლისისა და ირლანდიის ნაკრები გუნდების ამხანაგურ მატჩს. გაიმარჯვეს ინგლისელებმა — 2:1. მასპინძელთაგან გოლები გაიტანეს სტივენმა (45-ე წთ) და ლაინეკერმა (76), ხოლო სტუმართაგან — ბრეიდიმ (88).

ერთი პარტიაც არ წაუგია

მილანი. იტალიის ამ ქალაქში გამართული დიდი საერთაშორისო ტურნირი მოიგო მსოფლიოს პირველმა ჩოგბურთელმა ჯონ მაკინროიმ (აშშ). ფინალში მას სულ ერთი საათი დასჭირდა ანდერს იარიდის (შვეცია) დასამარცხებლად — 6:4, 6:1. საინტერესოა, რომ ტრავმით გამოწვეული სამკვირიანი შესვენების შემდეგ მაკინროუ პირველად გამოჩნდა ჩოგბურთის კორტზე, მაგრამ მის სპორტულ ფორმაზე ამას არავითარი გავლენა არ მოუხდენია — მაკინროუს მილანში ერთი პარტიაც არ წაუგია.

იანვრის საუკეთესო სპორტსმენი

ბულგარელმა სამხტომელმა ხრისტოვ მარკოვმა ჯერ კიდევ შარშან მიიქცია ყურადღება. სეზონის ბევრ შეჯიბრებაში მან სტაბილურად მაღალი შედეგები აჩვენა. ამას წინათ ხრისტოვს, როგორც იანვრის საუკეთესო სპორტსმენს, სპეციალური პრიზი გადაეცა. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ წლეულს გადაწყვეტილი აქვს 17 მეტრი და 68 სანტიმეტრი დაძლიოს. ხრისტოვი ღრმად არის დარწმუნებული, რომ მსოფლიოს რეკორდი სამხტომში უეჭველად წლეულს გაუმჯობესდება.

რედაქტორი ა. გოგელია.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. № 14
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
ხამდივნო — 93-97-52
წერილების განყოფილება — 93-97-55
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი ინდექსია 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 06055